



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში

2017 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა კონსტიტუციაში შემავალი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ემსახურება ორ ძირითად მიზანს:

- კონსტიტუციის სრულ შესაბამისობის უზრუნველყოფას კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტალურ პრინციპებთან; და
- ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარებისათვის შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას.



მნიშვნელოვანი ცვლილებების თანახმად:

- სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით;
- საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღება - გამოცემის წესი და მათი იერარქია განისაზღვრა ორგანული კანონით;
- კონსტიტუციას დაემატა ნორმა გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც ადგენს სახელმწიფო ვალდებულებას, იზრუნოს არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფასა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაზე;
- სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის;

- კონსტიტუციას დაემატა ნორმა, რომლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით;
- დადგინდა შედარებით მაღალი ასაკობრივი ცენზი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის - 35 წელი და სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სტაჟი, ამასთან, გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია;
- ახალი რედაქციის თანახმად, პროკურატურა გადის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემიდან და ყალიბდება დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოდ, რომელიც ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდება მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.



შესაძლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია სამოქალაქო კოდექსის („კოდექსი“) პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მოქმედი კოდექსის ხარვეზების აღმოფხვრას.

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად:

- სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს ემატება მე-2 ნაწილი, რაც გულისხმობს თანაცხოვრების განმავლობაში მეუღლეთა მიერ შექმნილი ქონების თანამესაკუთრედ მეუღლის დარეგისტრირებას;
- 287-ე მუხლის მე-2 ნაწილით დგინდება, კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებულ გარიგებაში საბანკო ანგარიშის სავალდებულო მითითება, სადაც უნდა მოხდეს, როგორც სესხის გაცემა, ისე თანხების უკან დაბრუნება;
- 172-ე მუხლს შესაძლოა დაემატოს მესამე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შემდგომ სახელმწიფო ვალდებულებას: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი ნივთი წარმოადგენს მფლობელის ბოლო საცხოვრისს, გადაწყვეტილება აღსასრულებლად შეიძლება მიექცეს მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მფლობელს დააკმაყოფილებს მინიმალური ფართით;
- კანონპროექტი ითვალისწინებს კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილისა და 302-ე მუხლის 31-ე ნაწილის ამოღებას, რაც გულისხმობს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შეზღუდვას;

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 17 ოქტომბერს მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (საქმე #N^o3/4/550) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის („სსკ“) 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

სადავო ნორმები ადგენს, საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არასწორად რეგისტრირებული პირის მიერ საკუთრების გასხვისებისას, კეთილსინდისიერი შემძენის დამცავ წესებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ სსკ-ს 185-ე მუხლი კეთილსინდისიერ შემძენს იცავს იმ შემთხვევაშიც, როდესაც რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და შემძენმა იცის ამის შესახებ. შესაბამისად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავო ნორმის ხსენებული ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, „გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში“, იმ შემთხვევაში, როდესაც რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი შემძენისათვის ცნობილია.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიართო კვალიფიცირ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.